

## **ვლადიმერ პაპავა – ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ყველა ობიექტის პრივატიზება მიზანშეწონილი არ არის**

**ინტერესნიუსი – 29 ივნისი, 2007**

მთავრობა პარლამენტში „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონში ცვლილების პროექტით შევიდა, რომელმაც მედიაში საკმაოდ დიდი აუთიფაქი გამოიწვია. განსაკუთრებით კი მუხლმა, სადაც ცვლილება შედის იმ ობიექტების ჩამონათვალში, რომელთა პრივატიზება აკრძალულია. კანონმართექტთან დაკავშირებით ინტერესნიუსი საპარლამენტო უმრავლესობის წევრს და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯოდმარის მოადგილე ვლადიმერ პაპავას ესაუბრა.

ნებისმიერი ობიექტის პრივატიზება შეიძლება, თუ ამ ობიექტით კერძო სექტორი იქნება დაინტერესებული. წმინდა ეკონომიკური თეორიიდან გამომდიონარე ამაში პრობლემა არ არის. მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა ობიექტის პრივატიზება, რომლის კერძო სექტორში არსებობა გამართლებულია, მიზანშეწონილი არ არის.

**მათ შორის რკინიგბისაც..**

მათ შორის რკინიგბაც, ის სახელმწიფო საკუთრებაა – რკინიგბა კერძო სამართლის იურიდიული პირია, მაგრამ მისი 100 პროცენტი წლის მფლობელი სახელმწიფოა და ეს ასე რომ არ იყოს, მისი პრივატიზების საკითხი არც დადგებოდა. ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, რკინიგბას მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს, ის სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთი ძირითადი არტერიაა და ისეთივე დატვირთვაც აქვს, როგორც მაგისტრალურ გაბსადენის. ის ფაქტი, რომ მაგისტრალური გაბსადენი დღესაც იმ ობიექტების ნუსხაშია, რომელთა პრივატიზება არ შეიძლება, ჩვენი ამერიკელი მეგობრების დამსახურებაა. შეგახსენებთ, რომ 2006 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობა მაგისტრალური გაბსადენის პრივატიზებასაც აპირებდა. რკინიგბასაც ბუსტად ასეთივე დატვირთვა აქვს და მისი პრივატიზაცია ამ ეტაპზე, როდესაც გვერდით ისეთი დაუძინებელი მტერი გყავს როგორიც რუსეთია, გაუმართლებელია.

**რა საფრთხე შეიძლება არსებობდეს?**

ამ რკინიგბის მყიდველი შეიძლება იყოს რუსეთი და ყველა ის ძალა, რომელის ინტერესებში რკინიგბის უფუნქციობა შედის და რომელსაც საქართველოს საფრანგისტო ფუნქციის განხორციელების ხელისშეშლა სურს. უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთს სერიოზული ინტერესი აქვს პოსტსაბჭოთა სივრცეზე ლიბერალური იმპერია შექმნას და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები არა იარაღით, არამედ ეკონომიკურად დაიპყროს. მისი პოლიტიკა ინტერესები მოახდინოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე, მონაწილეობა მიიღოს პრივატიზებაში და ინვესტიციები განახორციელოს. ეს არის ის სქემა, რომელიც წარმატებით განახორციელა რუსეთმა სომხეთში და დღეს სომხეთის ეკონომიკა რუსეთის ეკონომიკის ნაწილია.

**და ამ სქემის განხორციელებას გეგმავს საქართველოშიც?**

დიახ, ეს არის ის სქემა, რომლის განხორციელებასაც რუსეთი საქართველოშიც ცდილობს და ცალკეულ სექტორში მოახერხა კიდევ. რუსეთის კომპანიები შემოვიდნენ ენერგეტიკაში, ოქროსა და სპილენძის მოპოვებაში, საბანკო სექტორში, ამიტომ დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ისეთი ობიექტების პრივატიზებას, რომელიც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საფუძვლებს შეეხება.

**დანარჩენ თბიექტებზე რას იტყვით, რომელთა პრივატიზებაც დასაშვები ხდება, მაგალითად, ფოსტა, წყალსადენი?**

ესენიც ისეთივე ობიექტებია, რომელთა პრივატიზებაც ამ ეტპაზე გამართლებული არ არის, რადგან შეიძლება მათი მესაკუთრეები ისეთი კომპანიები გახდნენ, რომლებიც ქართულ სახელმწიფოს რეალურ საფრთხეს შეუქმნიან.

სასაფლაოების პრივატიზებაზე აკრძალვის მოხსნაზე რას იტყვით, მოგვიანებით მთავრობის მხრიდან გაკეთებული განმარტებით, სასაფლაოები ისედაც კერძო საკუთრებაა და მისი სახელმწიფო ქონების ჩამონათვალში ყოფნა გაუმართლებელი იყო.

ეს ფაქტი სამოგადოებისტვის არასწორად იყო მიწოდებული. სასაფლაოების პრივატიზება 90-იან წლებში განხორციელდა. ახლა შეიძლება საუბარი თავისუფლად დარჩენილი ტერიტორიების პრივატიზებაზე იყოს, რაშიც მოულოდნელი არაფერი ყოფილა. სასაფლაოებები მიწის აღება ახლაც ფასიანია. სამწესაროდ მთავრობის მხრიდან თავიდან არასწორად იყო არტიკულირებული სასაფლაოების პრივატიზების თემა და საერთოდ არტიკულაცირად კახა ბენდუქიძის გამოყენება იმ საკითხებშიც კი, როდესაც მთავრობის შემთხვევაშება სწორია, შეცდომაა, რადგანაც ის დაუფარავად გამოხატავს რა ბიზოს საკუთარი ხალხის მიმართ, ამით უარყოფითად განაწყობს უადიგორიას.

**კანონპროექტში ასახულ სხვა ნოვაციებზე რას იტყვით, მაგალითად, პრივატიზების ფორმების შემცირებაზე?**

თვითონ კანონპროექტი საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ძალიან დაბალ დონეზეა დაწერილი – გაუმართავი წინადადებებია, ტექნიკური შეცდომებია, ბენდოვანია. საერთოდ გაუგებარია რატომ რჩება საქართველოში პრივატიზაციის მხოლოდ ორი ფორმა, რომელთა შორის აშკარა უპირატესობა პირდაპირი მიყიდვის ფორმას ენიჭება. პრაქტიკულად ეს კანონპროექტი ხელს აძლევს სახელმწიფოს, რომ მთელი რიგი ობიექტები სწორედ პირდაპირი მიყიდვის ფორმით გაყიდოს.

პრივატიზების ფორმები მრავალფეროვანია, მათი რიცხი რამოდენიმე ათეულია. ჩვენ კი მხოლოდ ორი ფორმის შენარჩუნება გვსურს. პრივატიზების ფორმის ფართო სპექტრი უნდა იყოს, რადგან სხვადასხვა ობიექტების მიმართ სხვადასხვა მიდგომა იყოს გამოყენებული.

**კანონპროექტის მხარდაჭერები აღნიშნავენ, რომ თავის დროზე პრივატიზაციის პროცესი საქართველოში მახინჯური ფორმით წარიმართა**

რა თქმა უნდა, პრივატიზაციია ის თემაა, რომელიც არცერთ პოსტკომუნისტურ თუ განვითარებად ქვეყანაში არ განხორციელებულა იდეალურად. როდესაც იწყებოდა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია, ამ ტრანსპორტმაციის და არც პრივატიზაციის არანაირი თეორია არ არსებობდა. რა თქმა უნდა, შეცდომები ყველა ქვეყანაში იყო და დღესაც არ ვართ დაზღვეულები შეცდომებისგან. ამის მაგალითებია, თუ როგორ

იყიდა ევრაზია პოლდინგმა ჭიათურმანგანუმი და როგორ განაცხადა შემდეგ უარი, ან პრივატიზაციის პროცესში როგორ განაცხადა სამჯერ მეტი ფასი ჩეხერმა “ენერგო პრო”-მ (და ამით კონკურენტები ჩამოიშორა) ვიდრე რეალურად გადაიხადა. თუმცა ეს ყველაფერი საერთაშორისო გამოცდილებაში ჯდება.

მახინჯად განხორციელებული პროვაგიზაციის გამოსწორების ერთ-ერთ მცდელობად უმრავლესობაში იმ კანონპროექტსაც ასახელებენ, რომელიც საწარმოში 95%-იანი წილის მფლობელს დარჩენილი 5%-ის შესყიდვის უფლებას აძლევს..

მე ამ კანონპროექტისთვის ხმა არ მიმიცია, რადგან ვთვლი, რომ ის ადამიანის უფლებებს ზღუდავს.

თითქოს ამ კანონპროექტიდანაც გამომდინარე, რჩება შტაბეჭდილება ეკონომიკა პოლიტიკას დაქვემდებარებული ხდება. რამდენად სახიფათო შეიძლება იყოს ეს პროცესი?

ეკონომიკა ვერასოდეს იქნება განცალკევებული პოლიტიკისაგან და ეს მთელ მსოფლიოში ასეა. თუმცა ცედია, როდესაც ეკონომიკის ბედმეტად პოლიტიზირება ხდება. ასე ხდებოდა რევოლუციამდეც და ასეა ახლაც, თუმცა ახლა სხვაგვარად მიდის ეს პროცესი. ეკონომიკის პოლიტიზირება შეცდომა არ არის, ჩვეულებრივი მოვლენაა; ეკონომიკა პოლიტიკისაგან განყენებული მხოლოდ თეორიაშია.

თპოზიციაში უარყოფითი შეფასება მოპყვა იმ ფაქტსაც, რომ კანონპროექტი მთავრობამ პარლამენტში სესიის მიწურულ შემოიტანა

ამას არანაირი პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. მთავრობამ როცა საჭიროდ ჩათვალა, მაშინ შემოიტანა. არის მთელი რიგი კანონპროექტები, რომელთა განხლვა სამწუხაროდ სათანადოდ ვერ ხდება და ეს ხშირად მომხდარა ჩვენს პარლამენტში და სხვა ქვეყნების პარლამენტებშიც.

შედიაში აქცენტი ამ კანონპროექტის თითქმის მხოლოდ უარყოფით მხარეებზე კეთდება, მასში რა არის თქვენთვის მისაღები?

კერძო სექტორის განვითარება ყოველთვის მხარდასაჭერია, ამიტომ ნებისმიერი ცვლილება რომელიც კერძო სექტორს გააძლიერებს, მისასალმებელია. თუმცა, კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, რომ კანონპროექტი, უკეთეს შემთხვევაში, გაუაბრებელია. და თუ გააბრებულია, მასში ისეთი იდეებია ჩადებული, რომელიც საფრთხეებს ბრდის.

ინტერვიუ მოამზადა დარეჯან პაატაშვილმა